№ 237 16 ნოემერი, პარასკევი 1866—1879 16 ნოემბერი, პარასკევი № 237

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Бареше мцховрებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე 1 კაპ., ... ცერო ... — 5 კაპ., პატარათ — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დ საბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელ სტატიებს ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲗᲑᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ 1880 ᲬᲚᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲖᲔ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე აერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

Გაზეთი „დროება“ გაჭოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ᲩᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

Გაზეთის შესაფერ სტატიებს შესახებ შინაურის მიმოხილვისა და პოლიტიკისა, მარტო „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ მიეცემა ადგილი; ხოლო უფრო ერცელს სტატიებს რომელსამე განსაკუთრებულს საგანზედ, პოლიტიკისა და შინაურის საქმეების შესახებ, ექნებათ ადგილი ჟურნალს „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ“. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ მომავალის წლიდამ ჟურნალი „ᲘᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ უფრო იმ გვარს წიგნებს დაემსგავსება, რომელთაც რუსები „ᲡᲑᲝᲠᲜᲘᲙᲘ“ ეძახიან, ვიდრე დრო-გამოშვებითს გამოცემასა; განსაკუთრებული ყურადღება რედაქციისა იქნება მიქცეული მასზედ, რომ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნი იყოს, და ამისთვის უფრო ერცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს როგორც თარგმნილებს, ისე პირ-და-პირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც იმ სახით დაიბეჭდებიან, რომ მერე ცალ-ცალკე წიგნად შეიკრებოდეს.

Ამ შეერთებულის შრომისა და ღონის წყალობით, „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებ, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შემწეობა და თანაგრძნობა

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

მიიღება Тфილისში: „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Ивверіи“.

ᲤᲐᲡᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“	და	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“	—	ერთად	—	13 მ.	—	7 მ.	— 4 მ.
Ცალკე:	„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“	—	—		—	9 „	—	5 „	— 3 „
	„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“	—	—		—	6 „	—	4 „	— 2 „

Ცალკე ნომერი „Დროებისა“ ღირება — 5 კაპეიკი.
— — „Ивериисa“ — 2 მანეთი.

Სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ᲮᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲛᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“-„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ { თ. ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ. ᲡᲔᲠ. ᲛᲔᲡᲮᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ — ᲡᲢ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡᲐ“ — თ ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 10 ნოემბერს. ხონთქრის ირადე (ბრძანება) გამოვიდა, რომლის ძალითაც მომავალ 1880 წლის 31 იანვრიდამ ხელ-ახლად იწყება ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სახელმწიფო ვალის სარგებლის გადახდა; შინაგან და უცხო ქვეყნებში აღებულ ვალის სარგებლის გადასახდელად ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ხაზინიდგან წელიწადში 1,350,000 ლიერი არის დანიშნული.

ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ, 12 ნოემბერს. Ირლანდიელები მმართავენ მიტტინგებს იმ განზრახვით, რომ გამოაცხადონ თავიანთი უკმაყოფილება ზოგიერთ იმათ თანამემამულეთა დატუსაღების თაობაზედ.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 12 ნოემბერს.

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐ-ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

| ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ: | | | | | | | | |

ნახავს განცხადებას „დროებისა და „ივერიის“ ერთად გამოცემაზედ მომავალის 1880 წლის 1 იანვრიდამა.

არ ვიცით—სხვები, ჩვენი მკითხველი საზოგადოება როგორის თვალით შეხედავს ამ გარემოებას, მოეწონება იმას, თუ არა; მაგრამ თვითონ ჩვენ კი ამ ორი ცალ-ცალკე და დაუმოკიდებელის გამოცემის შეერთება ერთს-და-იმავე დროს სამწუხარო მოვლენათაც მიგვაჩნია და სასიამოვნოთაც.

სამწუხაროდ იმიტომ, რომ ამ ორი გამოცემის შეერთება ყოველ შემთხვევაში იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გვყოლია ჯერ იმდენი მკითხველები, რომელთაც ორი გამოცემის კვება და რჩენა შეეძლოსთ; არ ყოფილა ჯერ ჩვენში ისეთი ხალისი კითხვისა, ისეთი თანაგრძნობა სამშობლო ლიტერატურისა, რომ ორ გამოცემას მაინც მოეხერხებინა, შესძლებიყო ცალ-ცალკე არსებობა.

მეტყვით: საზოგადოების თანაგრძნობა და კითხვის ხალისის გავრცელება თვითონ გამოცემაებზედ არის დამოკიდებულია; თუ კარგი გაზეთი გამოდის ანუ ჟურნალი, მკითხველები ყოველთვის ეყოლებაო. მართალია, ეს ჭეშმარიტებაა; მაგრამ, მეორეს მხრით, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ, თუ საზოგადოება არ თანაუგრძნობს, არ მოუმართავს ხელს რომელსამე გამოცემას, თუ, ერთის სიტყვით, ის არ აძლევს თავის ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ხარჯში გამოსასვლელ ღონის-ძიებასა და საშუალებას, ამ ჟურნალ-გაზეთებსაც არ შეუძლიანთ ხეირიანად გამოსვლა, შესრულება თავიანთ დანიშნულებისა და დაკმაყოფილება მკითხველის ნამდვილ მოთხოვნილებათა.

სასიამოვნოდ იმიტომ მიგვაჩნია ჩვენ ეს „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთება, რომ დღეის შემდეგ შეერთებულ რედაქციებს, შეერთებულ შრომასა და ღონის-ძიებას უფრო რიგიანად შეუძლიანთ შეასრულონ მკითხველთა წინაშე თავის ვალი. დღეის შემდეგ ჩვენ უფრო ადვილად შეეძლებთ ორივე გამოცემის უკეთ წაყვანასა და წარმატებას, რადგან ამ შეერთებით გვემატება როგორც ლიტერატურული ძალ-ღონე, აგრეთვე მატერიალური საშუალება.

ხანგრძლივი მოლაპარაკება გექონდა ჩვენ, სანამ ამ შეერთებაზედ დავთანხმდებოდით; ბევრი ავწონეთ, დავწონეთ, ავიღეთ, დავიღეთ, განვსაჯეთ, და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ შეერთება ჩვენთვის ღონე და სარგებლობა იქნება და ცალ-ცალკე მოღვაწეობა არც თვითონ ჩვენ მოგვცემს ხელსა და არც საზოგადოებას დააკმაყოფილებს ჯეროვანად.

ჩვენ დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ არცერთი ისეთი დედა-აზრი არ გვაშორებს ჩვენ ერთს-მეორისაგან, რომ შეერთება, ერთად მოღვაწეობა და ერთად მუშაობა არ შეგვეძლოს სამშობლო ლიტერატურისათვის; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ „დროებისა“ და „ივერიის“ მიმართულებას შორის არ არის ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ამ ორ გამოცემას უშლიდეს ხელი-ხელ'ში ჩავლებასა და ერთად სკოლას საზოგადო მიზნის მისაღწეველად და შესასრულებელად; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ეს ორი გამოცემანი არ შეადგენენ ისეთს განსხვავებულ, ცალ-ცალკე ბანაკებს, რომ ერთისა-და-იმავე საქმის ძმურად, თანხმობით წაყვანა არ შეეძლოსთ; დავინახეთ და დავრწმუნდით, რომ ჩვენ ორთავეს ყველაზე უფრო ხშირად პრინციპების, დედა-აზრისა და მიმართულების განსხვავება კი არ გვაშორებს ერთმანეთს, არამედ თითქმის მხოლოთ ერთმანეთის გაუგებლობა, ხან-დაზან, საუბედუროთ, პიროვნება, თავმოყვარეობაც კი და სხვა ამგვარი წვრილმანი გარემოებანი.

დავინახეთ, დავრწმუნდით, და დავსძლიეთ ეს ჩვენი ერთმანეთის განმაშორებელი წვრილმანი დამაბრკოლებელი მიზეზნი,—და შეერთდით.

შეერთდით იმიტომ, რომ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ამ შეერთებაში ჩვენ ვიპოვნეთ ძალა, რომელიც ღონის-ძიებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად, უფრო რიგიანად იმ საქმის წაყვანისას, იმ უღლის გაწევისას, რომელსაც ჩვენ ორივე ცალ-ცალკე ვეჭიდებოდით და რომელიც, გამოვტყდებით, ნელი ნაბიჯით მიგვყავდა წინ...

რასაკვირველია, დაბრკოლება შემდეგშიაც მოგველის; ვარდით არ არის მოფენილი ჩვენი ლიტერატურისა და ლიტერატორების გზა. მაგრამ ჩვენ გვანუგეშებს ის იმედი, რომ ამ დაბრკოლებებს მაშინ უფრო მარჯვედ მოვსპობთ ან შევიმსუბუქებთ და ეკლნარსაც მა-

---

ფელეტონი

ქართული წარმოდგენები მეთვრამეტე საუკუნეში

(დასასრული)

ახლა ჩვენ რომ ვსწერთ: „მოქმედება პირველი“, მაშინ უწერიათ „სახის მომქმედიო“; „ვამოქმედეთო“ — „ვასახისმეტყველეთო“.

ამ წარმოდგენებზე თ. ავალოვს დაუწერია ერთი ლექსი, რომელიც მას პირველს და შემდეგს წარმოდგენებზე სიმღერით წარმოუთქვამს ხოლმე. აი ის ლექსი:

მე სახედველნი იგ ჩემნი დავაშრე
წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულზე, ზოგთ ზე
სხვით გადმოწერითა,
მსმენელთ ვევედრებ ნუ მიკცხვენ ამა
ლექსისა მღერითა,
არ დაიშლიან, მაჩვენონ, იგ თუ ვმსახურე მე რითა!

—

თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს
სმენად ანუ ცნობად,
შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ
თქვენად მკობად;
ერიდებით უსამართლოდ, ჩემებრ მწერთა
ცუდად გმობად,
არ დაიშლით, ჰგავს არ რიდებთ თქვენთან
გლახ გულთ ლახვარდ სობად!

—

მერწმუნენით არ მას ეუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდომა,
მაგრამ მწადის განრინება, კიცხვითა და
ქვემო რჩომა,
ნუ იკადრებთ გაცხადებით, იქონიოთ
ჩემზე წყრომა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა.

1873 წ. კახეთს თ. ძობულოვებში გავიგე შინაარსი საქართველოში პირველად წარმოდგენილ კომედიის „მ ე ფ ე თ ე ი მ ურ ა ზ ი ს ა.“

თეიმურაზი საფლავიდამ წამოდგება. ერთ კაცს დაიჭერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მიღუაშვილი არა ხარ? ეს რაები ჩაგიცვამს? იქით კიდევ სხვა მოქალაქე პირებს ჩაავლებს ხელსა, რომლებთაც ერთ ქამს ევროპაში უმოგზაურიათ და იმათებური ანისამოსიც აცვიათ. შემდეგ თეიმურაზი ამბობს: ჰაი გიდი საქართველოვ, საქართველოვ და საქართველოს ლატაკო ხალხოვო მაგრამ ეჰ! შვილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაჭმევ შგლებს ბატკნებივითაო! და სხვ.

ამ წარმოდგენაში მიღებია ერთს მღვდელს მონაწილეობა, რომლისთვისაც სამღვდელოებას მისთვის დეენა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Декабря 1879 г. Типографія Мартиросова. Отвѣтств. редакторъ-издатель Г. Ц. Ивановъ-Кутаисовъ, изд. Г. Ц. Ивановъ.

შინ უფრო ადვილად გავკაფავთ, როდესაც ჩვენ ერთად, ძმურად ვიმუშავებთ და ამ მუშაობაში მოგვიმართავენ ხელს ჩვენი ნიჭიერი და გამოჩენილი მუშაკ-მწერალნი და სხვა ყველანი, ვისაც კი ახლანდელ ჩვენი ქვეყნის დაჩაგრულ ბედისათვის გული შესტკივა...

ს. მ.

ლიტერატურა

*** პეტერბურლის გაზეთებში გამოცხადებულია გზის სამინისტროს შემოსავალ-გასავლის ანგარიში მომავალის 1880 წლისა, რომლიდამაც ეცნობულობთ, რომ კავკასიის გზის სამმართველოსათვის და ახალი გზების გასაყვანად დანიშნულია 1880 წლისათვის 1,195,173 მანეთი.

*** ხვალ, 17 ნოემბერს, როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, თფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოში იქნება გამოჩენილი ავაზაკის ტ ტო წულუკიძის საქმის განხილვა; სამხედრო სასამართლომ უნდა განიხილოს ის ბრალდებულება ტატოსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ვითომც იმას 1877 წელს, როდესაც ჩვენში „სამხედრო მდგომარეობა“ იყო და სამხედრო წესები მოქმედებდნენ, მოეკლას სოლოლაკზე ერთი პოლიციის სალდათი და გაეცარცვოს ტერ-მოსესოვი. დანარჩენ დანაშაულისათვის თფილისის ოლქის სასამართლომ უკვე გარდაუწყვიტა შარშან ტატოს სასჯელი—

10 წლით ციმბირში გაგზავნა, კატორღაში.

ამბობენ, რომ ამ სამხედრო სასამართლოისა ახლა ძალიან ეშინიანო ტატოს; ეშინიანო, ვაითუ ჩამოლრჩობა გადამიწყვიტონო; ერთის სიტყვით, ისე მხნედ აღარ არის ახლა, როგორც ოლქის სასამართლოში იყო შარშან.

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ჯავახეთის ახალქალაქიდამ შემდეგი ამბავი გაზეთში დასაბეჭდათ:

„ბუშინწინ, 5 ნოემბერს, ერთმა ალასტნელმა ფრანგის მღვდელმა, სახელად ტერ-მანუკა ბეზირგანოვმა, შეჰკრიბა ოციოდე კაცი და ბინდის დროს ხუთ კაცს სახელმწიფო ტყის მცველებს (აბესჩიკებს) დაეცა, თოფები წაართვა და ძალიან გამოატყვინა; ერთს ორ ადგილას მკლავი მოსტეხეს და ბარე სამ ადგილასაც თავი გაუტეხეს. ბოლოს როგორც იყო ტყის მცველები ახლო თათრის სოფელში გაქცეულიყვნენ და თათრებს მოერჩინათ.

„მაზრის უფროსმა რომ გაიგო ეს ამბავი, ფიცხლავ გაგზავნა პოლიციის ჩინოვნიკი უ. ა. ბ., რომელმანც კარგათ გამოიკვლია და აღმოაჩინა, რომ მართლა ამ მამა ტერ-მანუკას შაიკა ჰყავს, სადაც უნდა, დაეცემა, ჰყვირის: დაჰკარით, მოჰკალით, პასუხს მე გავცემო!

ეს საქმე ახალქალაქის სუდის გამოშეძიებელს გადასცეს; ავათმყოფიც ექიმმა შეამოწმა.

„ეს კიდევ არაფერი: ამ ზაფხულს ერთმა ქარტეშელმა კიდევ ფრანგის მღვდელმა, სახელად ტერ-აკოფ აგიდხანოვმა, შეჰკრიბა ორმოცი კაცზე მეტ, ღამე წამოვიდა სოფ. ბაკრას, დაეცა ამ სოფლის ფრანგის მღვდელს ტერ-ქარაპეტ ყარსელოვს, კარები და ფანჯრები დაუმტვრიეს, დედა-შობილა ტიტველა გასათხოვარი ქალი გაუქციეს, მღვდელს ბევრი სცემეს, თავპირიც დაამტვრიეს, იმის ცოლსაც იმდენი ურტყეს, სანამ ავაზაკები გულს შეისრულებდნენ.

„ამ საქმეზედ კიდევ პოლიციის ჩინოვნიკი ა. ბ. და გამომძიებელი ბიევსკი წავიდნენ, ქალი პურის ამბრიდგან ამოიყვანეს და ათი კაციც ტერ-აკოფის მოთავობით ავაზაკები აღმოაჩინეს.

„ამისთანა ამბები ხდება სომხის წესის ფრანგის მღვდლებისაგან და, მგონია, რიგია, რომ ამისთანა შემთხვევას იმ სულიერ მამების პირ-და-პირმა მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს“.

ჯავახი.

*** დღესასწაულის გამო, გუშინ, ხუთშაბათს, გაზეთი არ გამოსულა.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. რუისიდამ (ბორის უეზდისა), 8 ნოემბერს. 6 ნოემბერს ამ 1879 წელსა გაიხსნა სოფელს რუისში შკოლა, სადაც შემდეგ მოლებნის გადახდისა კონსტანტინე ქრისტეფორის ძემ მამაცოვმა აუხსნა ხალხს მოკლეთ შკოლის მნიშვნელობა.

დაუწყვია და ამ მღვდელსაც მაშინდელს ერთ ეპისკოპოზზე ლექსი გამოუღია; ზოგნი იძახიან, ვითომც ეს სიონის დეკანოზი თუ მღვდელი კანდელაკი ყოფილა, ზოგნი კი ამბობენ, რომ ვ დაც იოსებ ამირიძე იყოვო. აი ეს ლექსიც ქართლის მთავარ-არხიეპისკოპოზზე:

დოსითეოს არქიერი ბოლოსი,
ვინ იქნება იმას დაეტოლოსა,
მინდორს წავა, დაჰკრეფავს ბევრს ლოლოსა,
თონეშია დაიკრამს კარგს ლოლოსა.

—

ქამის წირვას გადაიხდის ქაბასა,
წინ გაიძღვნის დიაკვანსა საბასა!
მე დამიშლის შესვლასა პალატასა,
თვით კი მუდმივ მოივლის ავლაბარსა.

პალატს ეძახდნენ თურმე მაშინ იმ სახლს, სადაც წარმოდგენები ჰქონიათ ხოლმე. წარმოდგენები აგაძღვლებულა 1795 წლამდის, ვიდრე წყეული აღამაჰმად-ხანი დაეცემოდა თფილისს და როდესაც ეს დაეცა თფილისს და ქალაქი აღაოხრა, წარმოდგენებიც მოისპო. მოგეხსენებათ, რომ ამის შემდეგ მეფე ერეკლე დასნეულდა, სამეფო სახლში შური ასტყდა, ერთობა დაერღვათ და საზოგადო საქმეების აღმასრულებელი კაცებიც სრულიად დაიხოცნენ და გაიქცა-გაშოიქცნენ.

ის კამედიები რა იქნა—ეს არავინ იცის; 1830 წელს რომ ქალაქში სოლომონ დოდაევის რედაქტორობით ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა გამოცხადდა, მაშინ წარმოუდგენიათ მაშინდელი დრამმები დიდ ბიოორგი ერისთვისა და დიმიტრი ბაგრატოვანისა. ამბობენ, ეს კამედიები იმ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყვნენ, მაგრამ სხვა-და-სხვა შემთხვევებისა გამო 1832 წ. ჟურნალი დაიხურა და ვერც ის პიესები დაბეჭდილა; სულ ოთხი ნომერი გამოვიდა პირველს წელიწადს; თვითონ რედაქტორიც, პოლიტიკური საქმეების გამო, რუსეთს გაგზავნეს დასასჯელად, რედაქციაც დახურეს და, არათუ ის პიესები, არამედ სხვა მრავალი სტატიებიც და თხზულებებიც დაკარგულა. იძახიან, ვითომც სხვათა შორის იმ რედაქციის ზოგიერთი სტატიები ერთ ვილაც თულაშვილს ჩავარდნია ხელში; მაგრამ ისიც მომკვდარა და ყოველისფერი დაკარგულა.

აი ეს ცნობები შევკრიბე ამ საგანზე.

ზ. მთაწმინდელი.

Редакторъ-издатель Тифлисъ, 16 Ноября 1879 г. Типографія Канцеляріи Главноуп. Кавказскаго. Ц. 5 коп. Ц. ЗАЛЕМАНЪ.

ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲔᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲬᲐᲜᲐᲨᲔ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲚᲔᲑᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲔᲜ, ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲐᲜ ᲘᲗᲐᲕᲐ ᲔᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲣᲣᲚᲠᲛᲡᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲡ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲡᲐᲛᲚᲕᲔᲚᲝᲡᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲡ ᲐᲠᲮᲘᲔᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡ ᲘᲝᲐᲜᲜᲘᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲐᲪ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲕᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲛᲘᲡᲪᲐ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲥᲕᲘᲢᲙᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ; ᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐᲔᲢᲔᲕᲐ ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲐᲛᲓᲘᲡᲘᲜᲓ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲙᲝᲚᲐᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲑᲔᲚᲘ; ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ ᲡᲢᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲙᲐᲛᲔᲘᲙᲔᲑᲘᲗ, ᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲓᲝᲡᲙᲔᲑᲘ, ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲙᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲙᲐᲤᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ, ᲙᲐᲠᲜᲓᲐᲨᲔᲑᲘ, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲓ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲘᲡ ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐ. ᲔᲡ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲬᲘᲠᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲒᲐᲜ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲫᲚᲔᲜᲘᲡ.

ᲐᲛ ᲥᲐᲛᲐᲓ ᲨᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲣᲤᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲠᲔᲚᲔᲪᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲣᲚᲘᲡᲝᲕᲘ.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲜᲘ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲪᲐ. ᲛᲠᲗᲝ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲣ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲘᲡᲐ ᲐᲜᲣ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲓᲐ ᲐᲗᲘᲡ», ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲨᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲗᲐᲗᲒᲐᲜ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡᲐ. ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲛᲘᲢᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ: ᲠᲐ ᲠᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲣᲜᲓᲐ ᲐᲫᲚᲘᲝᲜ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ. ᲑᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲠᲗᲛᲔᲕᲐᲗ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ. ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲜᲘ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐᲒᲐᲜᲘ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲠᲣᲡᲘᲡᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ 400 ᲛᲐᲜᲐᲗᲘ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝᲛ ᲐᲛ ᲤᲣᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲨᲙᲝᲚᲐᲡᲐ; ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲠᲘᲜᲐ, ᲨᲔᲛᲨ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲘ ᲨᲙᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲡᲣᲠᲡ, ᲗᲣ ᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲝᲕᲔᲑᲓᲔ, ᲨᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲨᲙᲝᲚᲐᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲦᲘ.

ᲠᲣᲘᲡᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲘᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ. ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲚᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ (IX) ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲐ 1879 �წᲚᲘᲡ 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲗᲘ ᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡᲐ (ᲖᲐᲙᲚᲐᲓᲜᲘ ᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ):

I ᲡᲔᲠᲘᲐ

18 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 7 ᲗᲕᲘᲡ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ: №№ 53, 17, 39, 113, 88 ᲓᲐ 35.

II ᲡᲔᲠᲘᲐ

54½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 70.

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: №№ 39, 47 Დ 43.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: №№ 133, 132 ᲓᲐ 166.

III ᲡᲔᲠᲘᲐ

54½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 20.

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 73.

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲗᲐᲡ (1,000) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 146.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: №№ 166 ᲓᲐ 114.

IV ᲡᲔᲠᲘᲐ

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 58.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 18.

V ᲡᲔᲠᲘᲐ

54½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: №№ 83, 119 ᲓᲐ 24.

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ: № 11.

VI ᲡᲔᲠᲘᲐ

43½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ № 11.

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ № 11.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — № 16.

VII ᲡᲔᲠᲘᲐ

43½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — № 28.

VIII ᲡᲔᲠᲘᲐ

43½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — №№ 306, 317 ᲓᲐ 50.

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲮᲣᲗᲐᲡ (500) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ—№ 22.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — № 98.

IX ᲡᲔᲠᲘᲐ

43 ᲬᲚᲘᲡᲐ.

ᲐᲡ (100) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — №№ 183 ᲓᲐ 142.

X ᲡᲔᲠᲘᲐ

27½ ᲬᲚᲘᲡᲐ

ᲐᲗᲐᲡ (1,000) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ — № 1.

ᲐᲛ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ(IX) ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ 1880 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ; ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔ ᲡᲘᲛᲐᲗᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩ, ᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘᲡ 6 ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ.

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲡ (ᲖᲐᲙᲚᲐᲓᲜᲘ ᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ) ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ: Ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲠᲘᲡ Ე. Მ. ᲛᲔᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ. ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ.

(1—1)

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲔᲡ, 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ,
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲘᲩᲕᲘᲡ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ
Ვ. Გ. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘ

„ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲗᲐ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ

„ᲙᲐᲪᲘᲡ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲗᲐᲜ“

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡᲐ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲔᲑᲘ.—ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲪᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲝᲛᲑᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.—ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ—ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘᲐ

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲯᲐᲜᲯᲣᲚᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲔᲚᲑᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲡᲙᲨᲘ.

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲣᲛᲐᲬᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲝᲡ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Ноябрь 1879 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓ. Ს. ᲕᲔᲡᲮᲘ.